



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 53

2022 წლის 11 მარტი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორჯენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილება

განყოფილების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევათა პრევენციის და აღმკვეთი ღონისძიებების ორგანიზება. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა-ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობა საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ობიექტის მშენებლობის შეჩერება ან/და დემონტაჟი, დამრღვევის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადებების მომზადება. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ნარჩენების მართვის კოდექსის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს, „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს შესაბამისად დადგენილი ზომების მიღება. მშენებლობადადამთავრებული ობიექტის ვარგისად აღიარებისათვის დოკუმენტაციის მომზადება და განხილვა, შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის მომზადება. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის წესებისა და იერსახის დაცვაზე კონტროლის განხორციელება.

ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მიერ გატარებული იქნა შემდეგი სახის ღონისძიებები:

➤ საჯარიმო სანქციები:

განვლილ პერიოდში განყოფილების მიერ გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის არაერთი ფაქტი, რის გამოც გატარებული იქნა შესაბამისი ღონისძიებები, დაჯარიმდა 19 იურიდიული და 33 ფიზიკური პირი:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარიანში ალექსანდრე მღებრიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის (ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი) გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
2. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბროწლეთში მენაშენე რკ "ბროწლეთი-2018" თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა) სამსენებლო-სანებართვო პირობების (აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

3. ქ.გორში გურამიშვილის ქ.#1-ში, მენაშენე შპს "ვაკა ისტიტი" თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო ობიექტზე (სასტუმრო) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 4000 (ოთხათასი) ლარით.
4. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარაღეთში მენაშენე ავთანდილ მაისურაძე, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადაუსრულებელ ობიექტზე (კომერციული დანიშნულების ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში), დარღვევის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარით.
5. ქ. გორში, მშვიდობის ქუჩაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღნაგობის უფლების სარგებლობით გაცემულ მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებ მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (კომერციული დანიშნულების ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები), დარღვევის გამო პაატა მიქავა დაჯარიმდა 800 (რვაასი) ლარით.
6. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარაღეთში მენაშენე ლაშა ლოთიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (კომერციული დანიშნულების ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარით.
7. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში მენაშენე შპს "მაცივარი-2019" თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 2000 (ორიათასი) ლარით.
8. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში მენაშენე არჩილ იმერლიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (ფერმა) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.
9. ქ.გორში სამების ქ.#75-ში მენაშენე ლევან ლეხლაიონერი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.
10. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. მერეთში, ალექსანდრე ელიაშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
11. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბროწლეთში მენაშენე რკ "ბროწლეთი-2018" თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა) სამშენებლო-სანებართვო პირობების (აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
12. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბერბუკში დავით ქოთოლაშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
13. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარაღეთში მენაშენე შპს "ქულსერვი" თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა)

- სამსენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 2000 (ორიათასი) ლარით.
14. გორში თინა იოსებიძის ქ. N 7-ში მენაშენე ბაგრატი კალმახელიძე თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადადამთავრებულ ობიექტზე (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) სამსენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.
 15. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისში, მანანა მაზმიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
 16. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალშენში საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მიმდებარედ შპს „ფოლადი 92“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები (ავტოგასამართი სადგური) მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
 17. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარხეთში, მენაშენე შპს „ტირიფონის ხილი“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა) სამსენებლო-სანებართვო პირობების (ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
 18. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხეში, როზა ჯანეზაშვილი და ლაშა ჯანეზაშვილი თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდნენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
 19. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. მეღვრეკისში, მენაშენე შპს „ეი დი ჯი აი“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა) სამსენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები), დარღვევის გამო დაჯარიმდა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.
 20. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ტირძნისში, მენაშენე ჯემალ ხმიადაშვილი და კახა ხმიადაშვილი თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადადამთავრებულ ობიექტზე (კომერციული ობიექტი) სამსენებლო-სანებართვო პირობების (მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმების წარმოუდგენლობა) დარღვევის გამო დაჯარიმდნენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
 21. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყვიავში, ვახტანგ გიგუაშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
 22. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყვიავში, ქეთევან ჩანტლაძე თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
 23. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალდაბაში, მენაშენე ბორის მდინარიძე თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადადამთავრებულ ობიექტზე (ფერმა) სამსენებლო-სანებართვო პირობების (მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმების წარმოუდგენლობა) დარღვევის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
 24. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კარალეთში, მარიამ ვანიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

25. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. საქაშეთში, ივანე ასანიძე თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
26. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ქიწნისში, მენაშენე დავით რობანიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებ მშენებლობაზე (ხილის შესანახი სასაწყობე მეურნეობა) სამშენებლო-სანებართვო პირობების (აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
27. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კარალეთში, მენაშენე გივი სუხიტაშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (კომერციული დანიშნულების ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 წლის ვადაში შენობანაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
28. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბერბუკში, მარინა გიგაური თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
29. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერაში, დალი მელქუაშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
30. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. კარალეთში, მენაშენე „რკ ქართული ხილი“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები), დარღვევის გამო დაჯარიმდა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.
31. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბერბუკში, ჯემალ თვაური თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
32. ქ. გორში გიორგი ანწუხელიძის ქ. N 1 ზ-ში, მენაშენე ნინო ტატიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (კომერციული ფართი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმების წარმოდგენლობა) დარღვევის გამო დაჯარიმდა 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.
33. ქ. გორში შინდისის გზატკეცილის მე-2 კილომეტრზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე) დარღვევის გამო დაჯარიმდა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
34. ქ. გორში მოსკოვის ქ. N 1-ში, შპს „გრუპ ბერეშით“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები, არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟის (მშენებლობის ერთერთი სახე) გამო დაჯარიმდა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
35. ქ. გორში ჭალის დასახლება, კვარტალი V, შპს „ქართული ღვინის სახლი“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის (სასაწყობე მეურნეობა) გამო, დაჯარიმდა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
36. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ტირმნისში, მენაშენე ალექსანდრე ინაური თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის

- (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
37. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფხვენისში, მენაშენე „რკ გიორგი 2015“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (სამაცივრე მეურნეობა) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები), დარღვევის გამო დაჯარიმდა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.
38. ქ. გორში წითელარმიელების ქუჩა N 1-ში, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) მენაშენე პაატა ციციანი (ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 წლის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
39. ქ.გორში რუსთაველის ქ. N 88-ში, შპს „ვარსკვლავი“- თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (მრავალფუნქციური ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
40. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. მერეთში, გიორგი რობანიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის (ავტოსამრეცხაო) გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
41. გორის მუნიციპალიტეტის სოფ.კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ელ.გადამცემი ხაზის ტრასის მშენებლობაზე სამშენებლო-სანებართვო პირობების (აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტაციის დარღვევის გარეშე და კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნებით) დარღვევის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
42. ქ.გორში გორიჯვრის ქუჩაზე, შპს „ერისონი“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (საზოგადოებრივი კვების ობიექტი) „მშენებლობის სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის გამო დაჯარიმდა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.
43. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნატალია მამიევი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
44. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს „გ.ჯ. ჯგუფი“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო, დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
45. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბერბუკში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-ს თავის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (თაფლის გადამამუშავებელი საწარმო) სამშენებლო-სანებართვო პირობების (მშენებლობის ნებართვით ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიუღებლობა) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის (200 (ორასი) ლარი) სამართლებრივი საფუძვლების ჯარიმის დაკისრებიდან 3 თვის ვადაში აღმოუფხვრელობის გამო, დაჯარიმდა დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი, 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

46. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. კარალეთში, მენაშენე ბაქარ ოქროპირიძე, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (სატვირთო ავტომობილების კონტეინერული ტიპის ავტოტექმომსახურების ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.
47. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბერბუკში, მენაშენე ვალტერ ხორგუაშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (სასაწყობე დანიშნულების ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები), დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
48. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მენაშენე ზურაბ ლაფაჩი, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
49. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ტყვიავში, მენაშენე რობიზონ ქარელი, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (კომერციული დანიშნულების ობიექტი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპების დასრულების ოქმები), დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
50. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სვენეთში, მენაშენე ილია საათაშვილი, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობადამთავრებულ ობიექტზე (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) სამშენებლო-სანებართვო პირობების (ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 წლის ვადაში შენობანაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
51. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. მეღვრეკისში, შპს „გარნეთი“ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებ მშენებლობაზე (სამაცივრე მეურნეობა) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57-ე დადგენილების XV თავის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის (აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე) დარღვევის ან/და შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
52. გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. უფლისციხეში, ბონდო ჯანეზაშვილი, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის (წყალსაცავის მოწყობის სამუშაოები) გამო, დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების თანხამ სულ შეადგინა: 58 500

(ორმოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი.

გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო განვლილ პერიოდში 6 ფიზიკური პირის და 3 იურიდიული პირის მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმი და გადაიგზავნა სასამართლოში:

1. ქუჩის თვითნებური გადათხრისა და დაზიანების გამო მოქ. გიორგი ახალაძის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 152-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.
2. გაზონებში და სხვა ადგილებში სამშენებლო მასალის დაყრის გამო შპს „იმერმშენი“-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 146¹-ე მუხლის შესაბამისად.
3. ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურების გამო მოქ. მურაზიკო ტერაშვილის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ნარჩენების მართვის კოდექსის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.
4. სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების გამო შ.პ.ს „შარა“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 55²-ე მუხლის შესაბამისად.
5. განმეორებით ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურების გამო მოქ. მურაზიკო ტერაშვილის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.
6. პოლიტიკური პლაკატების (ლოზუნგი) უნებართვოდ განთავსების გამო მოქ. ზურაბ ხომერიკის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.
7. გზის სავალ ნაწილზე, მის გვერდულზე მსუბუქი ავტომობილების რკინის კონტრუქციების დაყრადგდების გამო მოქ. სოლომონ ხინჩიკაშვილის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 134-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.
8. გაზონებში და სხვა ადგილებში სამშენებლო მასალის დაყრის გამო შპს „იმერმშენი“-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 146¹-ე მუხლის შესაბამისად.
9. სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების გამო მოქ. მანანა ჯავახიშვილის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 55²-ე მუხლის შესაბამისად.

➤ **ზედამხვედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მიერ განვლილ პერიოდში ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 58 ობიექტი:**

1. გორის მუნიციპალიტეტში, კარაღეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 003, ნაკვეთი 001, შ.პ.ს „Dutch Business Group“-ის (ს/კ:417878078) მიერ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.26.003.001) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
2. გორში, ტაბიძის ქუჩა №2-ში, ერისთავის ქუჩა №12-ში, ოთარი ვარდანაშვილის (პ/ნ:01004000870) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.24.289) მშენებლობადამთავრებული, რეკონსტრუირებული (მიშენება) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
3. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, შ.პ.ს „აგრო პორტი“-ს (ს/ნ:405430056) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.57.05.161) მშენებლობადამთავრებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოს შენობა.
4. გორში, მშვიდობის გამზირზე, ოთარ ტატულაშვილის (პ/ნ:59001077832) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.27.252) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
5. გორის მუნიციპალიტეტში, კარაღეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 299, ნაკვეთი 002, მარიზა ლოლიჯაშვილის (პ/ნ:59001009823) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.13.299.002) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
6. გორში, მშვიდობის გამზირი №10-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საკ/კოდი:66.45.16.239) მეორე სართულზე ინგა ხანიშვილის (პ/ნ:59001043418) კუთვნილ ნაწილზე მიშენებული დამატებითი ფართი (აივნი).
7. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენში მამუკა ბლიაძის (პ/ნ:01013009234) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.60.10.346) მშენებლობანაწარმოები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
8. გორში, შინდისის გზატკეცილის №17-ში, მალხაზ ბაცანკალაშვილის (პ/ნ:59001026973) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:66.45.03.595) მშენებლობადამთავრებული, რეკონსტრუირებული, არსებულ კომერციულ შენობაზე დაშენებული ინდ. საცხოვრებელი სახლი.
9. გორში, გორიჯვრის ქუჩაზე, შ.პ.ს „ერისონი“-ს (ს/ნ:418475439) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.29.189) მშენებლობადამთავრებული საზოგადოებრივი კვების ობიექტი.
10. გორში, მშვიდობის ქუჩაზე, პაატა მიქავას (პ/ნ:59001012236) აღნაგობის უფლებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.16.210) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
11. გორის მუნიციპალიტეტში, კარაღეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 014, ნაკვეთი 043, ზურაბ ლაფაჩის (პ/ნ:59001091643) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.21.014.043) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
12. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის სექტორში, მისამართი: გორი, თბილისის გზატკეცილის მე-2 კილომეტრში შ.პ.ს „თბილი სახლი“-ს (ს/ნ:418469543) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.54.23.007) მშენებლობადამთავრებული სასაწყობე დანიშნულების ობიექტი.

13. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში, რობიზონ ქარელის (პ/ნ:59001010746) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.48.02.333) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
14. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში, ვალტერ ხორგუაშვილის (პ/ნ:59001013794) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.54.22.757) მშენებლობადამთავრებული სასაწყობე დანიშნულების შენობა.
15. გორის მუნიციპალიტეტში, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 720, ნაკვეთი 008, შ.პ.ს „გ.ჯ. ჯგუფი“-ს (ს/ნ:418475297) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.16.720.008) მშენებლობანაწარმოები სამეურნეო და სასაწყობე დანიშნულების ობიექტები.
16. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, გორის მუნიციპალიტეტის (საიდ.კოდი:218086087) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: 66.53.07.188) საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მშენებლობადამთავრებული პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლა.
17. გორში, შინდისის გზატკეცილის მე-2 კილომეტრში, შალვა თურმანიძის (პ/ნ:59001084872) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.03.610) მშენებლობადამთავრებული ავტოსამრეცხოს შენობა და საოფისე შენობა.
18. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში, ჯემალ თვაურის (პ/ნ:59001039334) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:66.54.18.079) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
19. გორში, ნადირაძის ქ.№3-ში, გიული ელიაშვილის (პ/ნ:59001003231) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:66.45.05.647) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
20. გორის მუნიციპალიტეტში, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 003, ნაკვეთი 047, ლაშა ლოთიშვილის (პ/ნ:59001102292) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.26.003.047) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
21. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, შ.პ.ს „მაცივარი 2019“-ის (ს/ნ:405341170) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.53.16.532) მშენებლობადამთავრებული სამაცივრე შენობა.
22. გორში, შინდისის გზატკეცილი №16-ში, შინდისის გზატკეცილი №16-ის მიმდებარედ, შ.პ.ს „ბელელი პირველი“-ს (ს/ნ:417894979) მიერ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: 66.45.04.081) მშენებლობადამთავრებული მარცვლეულის შესანახი ნაგებობები. (ანაწყობი კონსტრუქცია)
23. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისში, ალექსანდრე ინაურის (პ/ნ:59001044491) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.49.12.003) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
24. გორში, შინდისის გზატკეცილის მე-2 კილომეტრში, გორის მუნიციპალიტეტის (საიდ.კოდი:218086087) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: 66.45.02.055)

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მშენებლობადამთავრებული მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი.

25. გორის მუნიციპალიტეტში, კარაღეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 003, ნაკვეთი 037, ზურაბ ელიოზიშვილის (პ/ნ:59001025273) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.26.003.037) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
26. გორში, რუსთაველის ქ.№88-ში, შ.პ.ს „ვარსკვლავი“-ს (ID ნომერი:417892052) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.25.006) მშენებლობადამთავრებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
27. გორში, თბილისის ქ.№27-ში, შ.პ.ს „თერმო ქართლი“-ს (ს/ნ:417882474) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.12.253) მშენებლობადამთავრებული სავაჭრო დანიშნულების ობიექტი.
28. გორში, ჯორბენაძის ქ.№11-ში, ნონა ჩხიკვაძის (პ/ნ:43001002165) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.13.313) მშენებლობადამთავრებული, რეკონსტრუირებული (მიშენება) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
29. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში, მამუკა რუსიტაშვილის (პ/ნ:59001032865) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.54.24.059) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
30. გორის მუნიციპალიტეტში, კარაღეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 975, ნაკვეთი 007, კოოპერატივი „რკ ქართული ხილი“-ს (ს/ნ:417892472) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.01.975.007) მშენებლობადამთავრებული სამაცივრე მეურნეობის შენობები.
31. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ რეხაში, კოოპერატივი „რკ ვარსკვლავი“-ს (ს/ნ:417893890) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.54.12.247) მშენებლობადამთავრებული სამაცივრე მეურნეობის შენობები.
32. გორში, გიორგი ანწუხელიძის (ყოფილი მოსკოვის ქუჩა) ქუჩის მიმდებარედ, ნინო ტატიშვილის (პ/ნ:59001036520) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.27.103) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
33. გორში, ვერხვების დასახლებაში, სუბიშვილის ქუჩის მიმდებარედ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (ს/ნ:205190513) მიერ უზუფრუქტით სარგებლობაში (მესაკუთრე სახელმწიფო) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.54.23.067) მშენებლობადამთავრებული საგამოცდო მოედანი და დამხმარე შენობა.
34. გორში, პუშკინის ქუჩაზე ირაკლი ნადირაძის (პ/ნ:59001126846) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.13.174) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
35. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, ბორის მდინარის (პ/ნ:59001035521) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.43.11.000.344) მშენებლობადამთავრებული ფერმის შენობა.
36. გორის მუნიციპალიტეტში, კარაღეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი 119, ნაკვეთი 001, გივი სუბიტაშვილის (პ/ნ:59001096853) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:66.46.11.119.001) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.

37. გორში, გიორგი სააკაძის ქ.№11ა-ში, თეიმურაზ გიორგაძის (პ/ნ:59001008977) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.20.574) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
38. გორში, დიმიტრი ამილახვრის ქ.№32-ში, შ.პ.ს „ბალა ჰაუსი“-ს (ID ნომერი:445460260) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.24.031) მშენებლობადამთავრებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
39. გორში, გარსევანიშვილის ქ.№2-ში, გულნარა თევზაძის (პ/ნ:59001016968) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.18.541) მშენებლობადამთავრებული მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტი.
40. გორის მუნიციპალიტეტში, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბლოკი N402, ნაკვეთი N007, ბლოკი N402, ნაკვეთი N008, ხვიჩა მამუკელაშვილის (პ/ნ:59001014043) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:66.46.21.402.615) მშენებლობადამთავრებული ავტოტექმომსახურების ობიექტი.
41. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისში, ჯემალი ხმიადაშვილის (პ/ნ:50001000515) და კახა ხმიადაშვილის (პ/ნ:59001007510) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.49.09.714) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
42. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში, შ.პ.ს „ქულსერვი“-ს (ს/ნ:405366072) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.02.100.600) მშენებლობადამთავრებული სამაცივრე მეურნეობის შენობები.
43. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეღვრეკისში, შ.პ.ს „ეი დი ჯი აი“-ს (ს/ნ:406161521) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.49.06.106) მშენებლობადამთავრებული სამაცივრე შენობა.
44. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში, გიორგი ოქუაშვილის (პ/ნ:59001007109) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.58.04.659) მშენებლობადამთავრებული კვების ობიექტი.
45. გორში, წითელარმიელების ქ.№1-ში, პაატა ციცაგის (პ/ნ:59001006813) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.05.10.176) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
46. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კვარხეთში, შ.პ.ს „ტირიფონის ხილი“-ს (ს/ნ:418473379) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.53.19.255) მშენებლობადამთავრებული სამაცივრე შენობა.
47. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთში, შ.პ.ს „მაგთიკომი“-ს (ს/ნ:204876606) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.43.01.611) მშენებლობადამთავრებული საბაზო სადგურის ანბა.
48. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში, ხვიჩა საათაშვილის (პ/ნ:59001028416) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.54.19.075) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
49. გორში, მელიქიშვილის ქ.№22-ში, ჯემალ წიკლაურის (პ/ნ:59001035482) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.08.193) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

50. გორში, აღმაშენებლის ქ.№221-ში, სუბიშვილის ქ.№63-ში, შ.პ.ს „მაქსიმუმი“-ს (ს/ნ:418471861) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.08.291) მშენებლობადამთავრებული კაფე, ღია და დახურული ავტოსამრეცხაოები და დამხმარე შენობა.
51. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, შ.პ.ს „მაგთიკომი“-ს (ს/ნ:204876606) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.53.16.539) მშენებლობადამთავრებული საბაზო სადგურის ანძა.
52. გორში, იოსებიძის ქ.№74-ში, იოსებიძისა და ტყვიავის ქუჩის კვეთაზე ზაზა დალალიშვილის (პ/ნ:59001016767) და ივანე თათეშვილის (პ/ნ:59001024941) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.14.281) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
53. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში, გივი ბერიძის (პ/ნ:59001001034) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.55.16.087) მშენებლობადამთავრებული ფერმის შენობა.
54. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №1-ში, მერაბ ქავთარაძის (პ/ნ:59002004290) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.45.05.109) მშენებლობადამთავრებული კომერციული დანიშნულების ობიექტი.
55. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში, დავით შავშიშვილისა (პ/ნ:59001070646) და პაატა შავშიშვილის (პ/ნ:59001023813) თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.46.01.000.600) მშენებლობაწარმოებული მეფრინველეობის ფერმები და თევზსაშენი მეურნეობა.
56. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზაში, რკ აგრო დეველოპმენტის (ს/ნ:417885943) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.54.10.033) მშენებლობადამთავრებული სამაცივრე შენობა.
57. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში, ნოდარი გიგუაშვილის (პ/ნ:59001078852) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:66.48.16.275) მშენებლობადამთავრებული ბენზინ და დიზელ გასამართი სადგური.
58. გორში, თინა იოსებიძის ქ.№7-ში, ბაგრატ კალმახელიძის (პ/ნ:59001036677) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:66.45.13.281) მშენებლობადამთავრებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

გარდა აღნიშნულისა, უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილებაში შემოსულია და განხილულია 720 კორესპონდენცია სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც კომპეტენციის ფარგლებში მოხდა შესაბამისი რეაგირება.

განყოფილებაში პერიოდულად იგეგმება და ძაღვან სტრუქტურებთან ერთად ხორციელდება პრევენციის და აღმკვეთი ღონისძიებები გორში, გარევაჭრობის აღმოსაფხვრელად.

განყოფილებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვაზე კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების ფაქტების გამოვლენა, პრევენცია და მათი არსებული წესით შესაბამისობაში მოყვანაზე

კონტროლი. ასევე რეგულარულად ხორციელდება სახელმწიფო და მუნიციპალური მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, უნებართვო გარერეკლამის, უსახური, ამორტიზირებული ჯიხურების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, მსუბუქი კონსტრუქციების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად საჯარიმო სანქციების შეფარდება, გარდა საჯარიმო სანქციებისა განყოფილების მიერ ხორციელდება პრევენციის ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც აღკვეთილი იქნა ზემოთაღნიშნულ სამართალდარღვევათა უამრავი ფაქტი.

18.02.2022წ.

